ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო შ ე ფ ა ს ე ბ ა

შესრულებულია არქიტექტურული პროექტის
“ტექნიკური რეგლამენტის “შენობა-ნაგებობების
უსაფრთხოების წესები” დამტკიცების თაობაზე”
საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41
დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის
დადგენის მიზნით

საექსპერტო შეფასება

შესრულებულია არქიტექტურული პროექტის “ტექნიკური რეგლამენტის “შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები” დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით

საფუძველი:

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 51-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

ობიექტის მისამართი:

ქ.თბილისში, ქუჩა შუშის № 38-ში, ქუჩა ბაღნარის № 2-ა
სააქციო საზოგადეობა "თრიალეთი" (ID 209467717) საკუთრებაში მყოფ მიწის ნაკვეთზე
(ს/კ 01.11.04.017.119)

ობიექტის ფუნქცური დანიშნულება:

საამქრო

წარმოდგენილი მასალა:

არქიტექტურული პროექტი („მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 47-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობით)

გამოსაკვლევი ნაწილები:

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად წინამდებარე საექსპერტო შეფასება მოიცავს არქიტექტურული პროექტის შემდეგ ნაწილებს:

ა) დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასებას;
ბ) კონსტრუქციის ტიპების შეფასებას;
გ) სიმაღლისა და ფართობის შეფასებას;
დ)გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასებას;
ე) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასებას;
ვ) მისაწვდომობის შეფასებას;
ზ) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას;
თ) სახურავის ანაწყობების შეფასებას;
ი) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასებას;
კ) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას;
ლ) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას;

გამოკვლევა:

ა) დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასება:

საპროექტო ობიექტისათვის და და მისი ცალკეული ნაწილებისთვის განსაზღვრული დაკავებულობა აკმაყოფილებს „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ მე-3 თავის მოთხოვნებს, შემდეგი ქვეთავების :
306 სამრეწველო ჯგუფი (სმ-1) მოიცავს ავეჯის, სადურგლო სახელოსნოს, ხის მასალის დამუშავებას (დისტილაცია), ხის ნაკეთობების (ალათები და კარები), ლითონის განყოფილებებს და ა.შ.
311 სასაწყობო ჯგუფი(სწ-1 და სწ-2) მოიცავს ავეჯის, ხის მორების განყოფილებებს და ა.შ.
304 საქმიანი ჯგუფი (სქ) მოიცავს ამბულატორიულ კლინიკებს, ბანკებს, საფოსტო განყოფილებებს და ა.შ.
სამრეწველო ჯგუფის ნაწილი შეადგენს ფართით 141.30კვ.მ, დაკავებულობის ფაქტორით 9,3.
სასაწყობო ჯგუფის ნაწილი შეადგენს ფართით 308.00 კვ.მ, დაკავებულების ფაქტორით 46,5.
საქმიანი ჯგუფის ნაწილი შეადგენს ფართით 89.15 კვ.მ, საერთო დაკავებულობის დატვირთვით 9,3.
დაკავებულობის დატვირთვის ნაწილში საპროექტო დოკუმენტაციაში მოცემული ინფორმაცია აკმაყოფილებს „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ ცხრილი 1004.1.2-ის მოთხოვნებს, კერძოდ: სწორად არის არჩეული სივრცეების დანიშნულება და შემდგომ ამ სივრცეების იატაკის ფართობი გაყოფილია შესაბამისი დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე.

ბ) კონსტრუქციის ტიპების შეფასება:

პროექტის კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ საპროექტო შენობა შეესაბამება V-A ტიპის კონსტრუქციას. ნაგებობის ძირითად ელემენტებს წარმოადგენს რკ/ბეტონის კომბინირებულ საძირკვლზე რკ/ბეტონის კონსტრუქციის ჩარჩო, რომელიც შერჩეულ იქნა „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ 503 ცხრილის(დაკავებულობის, სიმაღლისა და სართულის ფართობისა), ასევე 601(ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები შენობის ელემენტებისათვის) და 602(ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები გარე კედლებისათვის ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი მიხედვით) ცხრილების მიხედვით. გამომდინარე გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხად აღებულ იქნა 2 საათიანი მედეგობა.

გ) სიმაღლისა და ფართობის შეფასება:

წარმოდგენილი ობიექტის სიმაღლისა და ფართობის, ასევე კონსტრუქციის ტიპიდან V-A გამომდინარე საპროექტო შენობის ყველა ნაწილი აკმაყოფილებს განსაზღვრულ ნორმებს.
503 ცხრილის(შენობის დასაშვები სიმაღლე და ფართობი)ცხრილის მიხედვით შენობის დაკავებულობის ფართობის მაჩვენებელი არ ცდება მითითებულ ფართობებთან დაკავშირებულ ზღვრებს.

დ) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება:

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის(გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი და სენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის დაკავებულობის დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მანძილის და გასავლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე მე-10 თავის შესაბამისად.
-აღნიშნულ ნაწილში წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს, კერძოდ:
-გასასვლელამდე სავალი მანძილები შეესაბამება 1016 ქვეთავის მოთხოვნებს.
-გასასვლელი საშუალებების ზომა აკმაყოფილებს 1005 ქვეთავის მოთხოვნებს.
-გასავლელების ზომა აკმაყოფილებს 1017 და 1005 ქვეთავების მოთხოვნებს.
-კარების ზომები აკმაყოფილებს 1008 ქვეთავის მოთხოვნებს.
- გასავლელამდე მისადგომი სავალი მაძილის ზომები დაანგარიშებულია სწორად და შეესაბამება 1016.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

ე) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება:

საპროექტო შენობის პირველი სართულიდან და მეორე სართულზე ასასვლელი გზა-კიბე და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობა აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს. ანალიზი განხორციელდა შენობის სართულების დაკავებულობის დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მაძილისა და გასასვლელი კომპონენტების ზომების საფუძველზე მე-10 თავის შესაბამისად. კერძოდ, 1021.2 ქვეთავისა და 1021.2(2) ცხრილის შესაბამისად ±0.00 ნიშნულზე მდებარე სამრეწველო ჯგუფის სმ-1(დ.დ. 15.20), საქმიანი ჯგუფის სქ (დ.დ. 9.59) და სასაწყობო ჯგუფის სწ-1(დ.დ. 0.49) და სწ-2 (დ.დ. 0.06) ემსახურება ოთხი გასასვლელი, ხოლო მეორე სართულზე სასაწყობო ჯგუფს სწ-1(დ.დ. 6.07) ორი გასასვლელი შემოზღუდული გზა-კიბე. გასასვლელებთან მისადგომი მაქსიმალური მანძილი არ აღემატება 60 მ-ს. გასასვლელების გზა-კარის ზომები 1008 ქვეთავის მოთხოვნებს აკმაყოფილებს. გზა-კარის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია 1008.1.1 ქვეთავისა და მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით და მის გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია 1005.3.2 ქვეთავის ფაქტორი (5,1 მმ) და მინიმალური სიგანე უნდა შეადგენდეს 0.82 მ, რაც დაცულია პროექტში. სათავსებიდან გამოსასვლელი კარების ზომები და რაოდენობა, აკმაყოფილებს „წესები“-ს მოთხოვნებს.

ვ) მისაწვდომობის შეფასება:

მე11 თავის, 1104 ქვეთავის შესაბამისად არის მითითებული გეგმებზე სვლაგეზის მიმართულებები. საპროექტო შენობაში შესასვლელი და სართულების დაკავებულობის იატაკები მისაწვდომობის მოთხოვნებს აკმაყოფილებს. ყველა სათავსოს კარი მისაწვდომია შშმპ-თვის და ასევე მოწყობილია ადაპტირებული ტუალეტი.

ზ) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება:

საპროექტო შენობის გარე კედლების ყველა კომპონენტი, კერძოდ გარე კედლების ღიობების მაქსიმალური ფართობი ხანძარსაწინააღმდეგო მანძილებისა და ღიობების დაცვის ხარისხი განსაზღვრულია 705 თავის მიხედვით და შეესაბამება და 705.8 ცხრილს. კონსტრუქციის ტიპის გათვალისწინებით დაცულია 601 და 602 ცხრილის მოთხოვნები, კერძოდ პროექტით გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი 2 სთ-ით განისაზღვრა.
გარე კედლებში მოსაწყობი ღიობების ფართობი შესაბამისობაშია 705.8 ცხრილის მოთხოვნებთან.
გარე კედლებს აქვს პარაპეტი, რომელიც აკმაყოფილებს 705.11 ქვეთავის მოთხოვნებს.

თ) სახურავის ანაწყობების შეფასება:

საპროექტო შენობის სახურავი სწორქანობიანია და წარმოადგენს რკ/ბ კონსტრუქციაზე სწორი გადახურვის მოწყობას ყველა საჭირო კომპონენტის გამოყენებით(მოსწორება ცემენტის ხსნარით, ორთქლიზოლაციის ფენა, ქანობის მიმცემი ფენა, ქვიშა-ცემენტის მოჭიმვა, ჰიდროიზოლაციის სამმაგი ფენა). სახურავის კონსტრუქცია და არა ძირითადი ნაწილები განსაზღვრულია 601 ცხრილის მიხედვით და გათვლილია 1 სთ-იან ცეცხლმედეგობის ხარისხზე. სახურავის ბურულების ხანძრის კლასიფიკაცია, კონსტრუქციული ანაწყობების მიხედვით ეკუთვნის B კლასს(ცხრილი1505.1ა). B კლასის სახურავის ანაწყობებად ითვლება ის ანაწყობები, რომლებიც ტესტირების დროს უძლებენ ზომიერი ცეცხლის ზემოქმედებას. სახურავს გააჩნია წყლის გადამყვანი დგარმილები.

ი) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება:

საპროექტო ობიექტის განსხვავებული დაკავებულობები სამრეწველო(სმ-1), საქმიან (სქ) და სასაწყობო(სწ-1) ჯგუფებს 508.4 ცხრილის მიხედვით არ მოეთხოვებათ ერთმანეთისაგან ცეცხლმედეგობის ხარისხის გამიჯვნა, თუმცა გამიჯნულია არიან. დაკავებულობა (სწ-2) ჯგუფს 508.4 ცხრილის მიხედვით მოეთხოვება 2სთ-იანი გამიჯვნა, რაც პროექტიტ გათვალისწინებულია.

კ) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება:

საპროექტო ობიექტი თავისი ფუნქციური დანიშნულებით წარმოადგენს საამქროს. პროექტით გათვალისწინებულია სახანძრო დაცვის სისტემები, კერძოდ, საგანგებო ხმოვანი განგაში, სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფი, კვამლზე მორეაგირე მაუწყებელი, ხელის ცეცხლმაქრი და სახანძრო სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებელი - ჰიდრანტი.

ლ) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება:

წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა შეესაბამება „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ ცხრილი 1602.1-ის მოთხოვნებს.



დიპლომი

EB № 071198

ეს დიპლომი მიეცა გორგაძე
ირაკლი ილიას ძეს
მასზე, რომ იგი 1974 წელს შევიდა
საქართველოს ვ.ი.ლენინის სახელობის
პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1980 წელს დამთავრა
სახელმწიფო ინსტიტუტის
სრული კურსი სპეციალობით
არქიტექტურა
სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1980 წ.
„6“ 07 გადაწყვეტილებით
ა.ა. გორგაძეს მიენიჭა
არქიტექტორის
კვალიფიკაცია.
სახელმწიფო საგამოცდო
კომისიის თავმჯდომარე
რექტორი
ბ. ა.
მდივანი
ქალაქი თბილისი 1980წ. „18“ XI
სარეგისტრაციო № 07675
Грузинский из.

ДИПЛОМ

EB № 071198

Настоящий диплом выдан Горгадзе
Ираклию Ильичу
в том, что он в 1974 году поступил
в Грузинский политехнический
институт имя В.И. Ленина
и в 1980 году окончил полный курс
названного
института
по специальности
архитектура
Решением Государственной экзаменационной
комиссии от „6“ 07 1980 г.
Горгадзе И.И.
присвоена квалификация
архитектора
Председатель Государственной
экзаменационной комиссии
Ректор
Секретарь
М. П.
Город Тбилиси „18“ XI 1980 г.
Регистрационный № 07675
Московская типография Гознака, 1978.

დასკვნა

საპროექტო მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.11.04.017.119), მისამართით ქ.თბილისი, ქუჩა შუშის № 38-ში, ქუჩა ბაღნარის № 2-ა, შესრულებული საამქროს პროექტის არქიტექტურული ნაწილი შესაბამისობაშია ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან და ეძლევა დადებითი შეფასება განსახორციელებლად.

მუშა დოკუმენტაციის და საინჟინრო კომუნიკაციების დამუშავებისას გათვალისწინებულ იქნეს ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ (№41) მოთხოვნები.

ექსპერტი: ი. ქ ირაკლი გორგაძე

გამოყენებული მასალები:

ქ.თბილისში, ქუჩა შუშის № 38-ში, ქუჩა ბაღნარის № 2-ა
სააქციო საზოგადეობა "თრიალეთი" (ID 209467717) საკუთრებაში მყოფ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.11.04.017.119) პროექტის არქიტექტურული ნაწილი

გამოყენებული კანონმდებლობა:

1. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილება.
2. "ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება.
3. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებაში „ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ ცვლილების შეტანის შესახებ.
4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის 14-39 დადგენილება. "ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ".

ექსპერტის მონაცემები:

სახელი და გვარი:	ირაკლი გორგაძე
დაბადების თარიღი:	02. 01. 1956
პროფესია:	არქიტექტორი
მისამართი:	თბილისი, აღმაშენებლის 149
ტელეფონი:	591 328 238
ელ-ფოსტა:	irakligorgadze8@gmail.com

განათლება: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი.
არქიტექტურის ფაკულტეტი 1974-1980 წწ.

სპეციალობა: არქიტექტორი

მუშაობის სტაჟი: 39 წელი

სამუშაო გამოცდილება:
1981-1982 წწ - "ტურისტპროექტი", არქიტექტორი
1983-1992 წწ - "კულტპროექტი", არქიტექტორი
1995-2000 წწ - "VOITH-SIEMENS", არქიტექტორი
2000-2011 წწ - შპს "კულტპროექტი", არქიტექტორი
2011-2013 წწ - შპს " ხურო XXI", არქიტექტორი
2014- - შპს "გერმანული სამშენებლო კომპანია", არქიტექტორი